

## პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი, არსებული ორგანიზაციული, ოპერაციული, ფინანსური რესურსებისა და დელეგირებული უფლებამოსილებების გათვალისწინებით, კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპების სახით, განსაზღვრავს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხედვებსა და მიდგომებს სამოქმედო რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იძულებილ გადაადგილებულ მოქალაქეთა წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი ხასიათის პრობლემების მოგვარების მიმართ.

### 1. არსებული პრობლემების ზოგადი აღწერა და მოკლე ანალიზი

სამოქმედო რეგიონში განთავსებულია 33641 აფხაზეთიდან იძულებილ გადაადგილებული მოქალაქე. მათ შორის კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს 18321, ხოლო კერძო სექტორში 15320 მოქალაქე.

საყოფაცხოვრებო პრობლემები როგორც კომპაქტურ ცენტრების უმრავლესობაში ასევე კერძო სექტორში ჩასახლებული იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთათვის მძიმეა. დევნილთა შორის მაღალია უმუშევრობის დონე, რაც უარყოფითად აისახება მათი თვითკმარობის ხარისხზე და აქედან გამომდინარე სხვადასხვა სოციალური ხასიათის (კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე და სხვა ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი) პრობლემებს წარმოშობს.

❖ იგპ-თა თვითკმარობის (თვითუზრუნველყოფის) დაბალი ხარისხი.

დევნილთა უმრავლესობა მოწყვეტილია ჩვეულ გარემოს, დაბრკოლებულ კენსს დევნილთა საკუთარი რესურსების (ინტელექტუალურისა თუ ქონებისა) სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შეზღუდულობა, მათ ხელი არ მიუძღვება წარმოების ძირითად საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე. კონფლიქტის პირობებში დევნილთა სტიქიური განსახლება მოხდა განუვითარებელი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მქონე დასახლებებში, რაც პოსკომდოქტორ პერიოდში შენარჩუნდა მცირე გამონაკლისის გარდა. მასთან დევნილთა უმრავლესობა შემთხვევაში არ ფლობენ ინფორმაციას მათი განთავსების ქალაქსა თუ რეგიონში არსებულ სამუშაო ადგილებზე, ასევე უმრავლესობისათვის დღემდე ხელმიუწვდომელია სამუშაოს მისაღებად ხელობების სწავლება და მომსახურება-გადამზადება.

❖ საყოფაცხოვრებო პრობლემები

განსაკუთრებით მძიმე პრობლემები უხდებათ ცხოვრება ამორტიზირებულ კომპაქტურ ობიექტებში განთავსებულ დევნილ ოჯახებს. ასეთი ობიექტები რეგიონში უმრავლესობაა, განსაკუთრებით კი პერიფერიულ მუნიციპალიტეტებში. ობიექტებში

აქტუალურია არამარტო მწყობრიდან გამოსული კომუნალური ქსელების, სახურავების და სხვა პრობლემები არამედ არასაკმარისი ფართების პრობლემაც. რაც შეეხება დევნილთა საცხოვრებელი ფართებით გრძელვადიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებულ და ახლად აშენებულ საცხოვრებელ კომლექსებს აქ აქტუალურია ფართების დაკანონების პროცესი, უხარისხო რემონტები და სხვა.

❖ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ავადობათა ხასიათისა და სპეციფიკის შესახებ არსებული ინფორმაცია ძალიან მწირია და ნაკლებად სანდო. ამდენად სფეროში არსებული პრობლემები არასაკმარისადაა შესწავლილი და შესაბამისად ძნელდება მათი აღმოფხვრისათვის აუცილებელი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება, მასთან წარმომადგენლობის რესურსები ამ მიმართულებით ძალიან მცირეა და ძირითადად მიზნულია აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების რესურსებზე. ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე მოქალაქეთა მომართვიანობაში სჭარბობს მედიკამენტების შეძენისათვის, ძვირადღირებული ქირურგიული მკურნალობისა და გამოკვლევებისათვის საჭირო თანხების მოთხოვნა.

რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას აქ დევნილთა პრობლემები ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია და პენსიებისა და საოჯახო დახმარებების სიმცირე სახელდება.

**2.პრიორიტეტები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფოკუსები**

არსებული ორგანიზაციული, ოპერაციული, მატერიალურ- ტექნიკური რესურსებისა და მასზე დელეგირებული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საქმიანობის პრიორიტეტებს 2013 წლისათვის წაერთმეოდა:

1. იგპ-თა დასაქმებისა და ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობა, როგორც მათ წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზა;
2. იგპ-თა საყოფაცხოვრებო პირობების მონიტორინგი და გაუმჯობესების ხელშეწყობა;
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამების რეალიზების ხელშეწყობა

მიზნის მისაღწევად წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:



▪ იგპ-თა თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების ხელშეწყობა,

*რაც გულისხმობს დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირებას, მათი დასაქმების ხელშეწყობის გზით*

**ფოკუსები**

- კვლევა – რეგიონში არსებული ადამიანური რესურსები, მათ ხელთ არსებული წარმოების ძირითადი საშუალებები, საჭიროებები დასაქმების სფეროები.
- დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში იგპ-თა ჩართვის ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების მიღებისა და გადამზადების პროგრამებში იგპ-თა ჩართვის ხელშეწყობა;
- იგპ-თათვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზების მოძიება

▪ საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა

**ფოკუსები**

- კვლევა კომპაქტურ ცენტრებში განთავსებულ იგპ-თა საჭიროებები;
- კერძო სექტორში განთავსებულ იგპ-თა საჭიროებები
- პრივატიზირების პროცესი და იგპ-თა ინტერესები
- მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით წინადადებების შემუშავება და ლობირება შესაბამის სტრუქტურებში

▪ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

**ფოკუსები**

- ჯანდაცვის ფედერალური და მუნიციპალური პროგრამები;
- სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა;
- აფხაზეთის მთავრობის სოცპაკეტი და სხვა პროგრამები;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის  
რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის  
ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის

# 2013 წლის სამოქმედო გეგმა

ქუთაისი 2013 წ.